

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”**

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომის**

**ოქმი**

**23 მარტი, 2011**

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:**

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ № 75

სხდომის დაწყების დრო 19:00

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: მამა ხაგიაშვილი (თავმჯდომარე), გვიად კორძაძე, ბესო აბაშიძე, იმედა დვალიძე, ქეთევან ბექაური, მამა ბიბილაშვილი, დავით ჩავლეიშვილი.**

**დღის წესრიგი:**

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გასაწვევრიანებელი პირების განცხადებების განხილვა;
2. ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის რეგისტრაციის ვადის გაგრძელება 8 აპრილამდე;
3. ინფორმაციის მიწოდება ადვოკატ მამუკა ნოზაძის სარჩელთან დაკავშირებით;
4. ნათია ჩირიკაშვილის შრომითი ხელშეკრულების გაგრძელება 3 თვით (2011 წლის 30 ივნისამდე);
5. ასოციაციის ზოგიერთი ხელმძღვანელი პირის მიერ აღმასრულებელი საბჭოს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების უგულვებელყოფით პოლიტიკური საქმიანობის საკითხი
6. სხვა მიმდინარე საკითხები

**გ ა დ ა წ ე დ ა :**

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწვევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე.
2. ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის რეგისტრაციის ვადა გაგრძელდეს 2011 წლის 8 აპრილამდე;
3. ნათია ჩირიკაშვილის შრომითი ხელშეკრულების ვადა გაგრძელდეს 3 თვით (2011 წლის 30 ივნისამდე);

**ზაზა ხატიაშვილი**

**ს.ს.ი.პ “ საქართველოს ადვოკატთა**

**ასოციაციის “ თავმჯდომარე**